წელიწადი მე-2-ე

# სამშობლო

№ 354

ხარასკევი, 13 მაისი

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე შემოსულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ტელეფონი № 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან ახალი პროგრამა.

**საჰაერო დაზვერვა.** სურათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

**დანაშაულობიდან დანაშაულისაკენ.**

მხიარული კომედია 3 ნაწილად ცნობილ მსახიობ: ვ. კარალისა და მისი მამის ა. ნ. კარალიტორცევის მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა.

**ოთხფეხა მეგობრები,** ბუნებიდან გადაღებული საფრანგეთის კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

**მათხოვარი ქალი.** ღვთის გულისთვის მიეცით მას მოწყალება. დრამა 4 ნაწილად ცნობილ არტ. დისენკოსა და მოზჟუხინის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან, მხოლოდ მოზრდილთავის ნაჩვენები იქნება

**საჰაერო დაზვერვა.**

სურათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

**ქალიშვილი ხალით.**

ძლიერი ფარსი 4 ნაწილად, დადგმულია ურალსქის მიერ, ჩიტორინის, გედიკე ნიკოლსკის და სხვათა მონაწილეობით. დეკორაცია მხატვარი ა. ა. გრეზინის.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა

**ოთხფეხა მეგობრები**

**სისხლში მოსვრილი ყვავილი.**

დრამა 5 ნაწ. სატახტო ქალაქის არისტოკრ. ცხოვრებიდან ცნობილ არტისტების ჩერნოვისა, მიხურინისა და ტურჟანსკის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „ამპირსა" და „რადიუმში"; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ., რაჯის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის

**—| ჭრა-კერვას |—**

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩის შესახვევშისახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.

156 ეგზამენის დაჭერა მოხდება ექსპერტების თანდასწრებით.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ი. **ჩარქძოვი** ქალა. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^1/_2$— საათ. საღ. 7—8 საათ. მისამართი: ლევაშოვი ქუჩა, ალიხნევის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი.** განახლა ავათმყოფების. მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, 11 სახლი № 2. თ.

**ექიმი** **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 14 46, ტელეფონი № 87 თ

**ექიმი** **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ბებია** მ. მ. **ქოხრეიძე** ურცხის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

**ამზადებს**

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მ სალებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. ს. ხლი გიორგი გურგენიძისა. თ.

**ჩამოსული რუსი სტუდენტი**

უკანასკნელი კურსის (8 წლის პრაქტიკით) **იძიებს გაკვეთილს,** ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყოველ კლასში, ათთიანის მოწაფეთ, „გოლნროპრედელიაიუშჩის" პირველ და მეორე ხარისხზე, პირველდაწყებით სკოლის მასწავლებლათ და სხვადასხვა სასწავლებელში შესასვლელათ

თანხმაა აგარაკზე გამგზავრება აიღოს.

მისამართი: დადიანის ქუჩა სახლი 6. სტ. ალ. კობიაძე.

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

(უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან)

**პეტროგრადი.** 7 მაისი. ოფიციალი.

**დასავლეთის ასპარეზი** 8 მაისს კრევოს აღმოსავლეთით მიდამოებში რუსებმა ნაღმი აიფეთქეს და ორმო ხელთ იგდეს. კუხოცკა ვოლიის მიდამოებში რუსების ერთმა პოლკის ნაწილმა გერმანელები მდ ვესელუკუს იქით განდევნა და მათი ახლად აღებული თხრილები გაანადგურა. ბუჩაჩის ჩრდილოეთით (მდ. სტრიპაზეა) გერმანელთა ზარბაზნებმა რუსების ადგილებს დაუშინეს; აქ ტყვია-წამალთან შუშებიც ურევია. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.** ტრაპიზონის სამხრეთ დასავლეთ მიდამოებში 8 მაისს გათენებისას ოსმალთა რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. გიუმიშხანის მიმართულებით რუსის ჯარმა ოსმალები სიმაგრეებიდან განდევნეს პონტიის ტავრის ჩრდილოეთიდან. სპარსეთში, მოსულის მიმართულებით, რუსის ჯარმა სერდენტი დაიპყრო.

—

**ლონდონი.** 10 მაისი ინგლისის მთავარ შტაბის ცნობა. გუშინ, ზარბაზნის მკაცრი სროლის შემდეგ, ღლისით მტერმა იერიში მოიტანა ვიმის ჩრდილოეთ სიმაღლეზე და პირველ თხრილებისაკენ 1.500 იარდით წინ წამოიწია, სიგრძით—100—300 იარ. დღეს ჩვენმა ზარბაზნებმა გერმანელთა თხრილებს დაუშინეს. ნევილ და ფლერდესთან სანაღმო ბრძოლაა. იპრის და ლანსის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლაა.

გუშინ მტრის მფრინავებმა დიდი მოქმედება გამოიჩინეს. ჰაერში რამდენიმე ბრძოლა მოხდა.

**რომი** 9 მაისი. მთავარ ბანაკის ცნობა. ტონალ და ადამელოს მიდამოებში უბრალო შეტაკებაა. გარდას ტბისა და მდ ადიჟეს მარცხენა ნაპირზე გუშინ მტერმა რამდენიმე იერიში მოიტანა, მაგრამ დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ. ასტიკო დობრენტას შუა გუშინ მტერმა მკაცრი იერიშები მოიტანა. კარნასა და იზონცოსთან ზარბაზნის სროლაა

გუშინ მტრის მფრინავებმა ლაგარირინოს და კარნის მიდამოებში ყუმბარები ჩამოყარეს. მკვდარია რამდენიმე კაცი ზარალი უმნიშვნელოა

**პარიზი.** 9 მაისი. დღის ოფიციალი ვერდენის ასპარეზზე მფრინავები მოქმედობენ. ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს და გერმანელებს აეროსტრატები დაუზიანეს, 6 მათგანი მთლად დაღუპეს. ეპარჟის მიდამოებში ჩვენმა მფრინავმა გერმანელთა ერთი მფრინავი ჩამოაგდო. მტრის დანარჩენი საფრენი მანქანები ჩამოვაგდეთ: ერთი მოპირდაპირის ხაზზე ლიანკურორსის ახლოს—ტუასთან, მეორე ფონტენუასთან სუასონის დასავლეთით. დღეს, მტრის მფრინავებმა დიუნკერკზედ ყუმბარები ჩამოჰყარეს. და 8 მაისს, ღამით, ფრანგთა მფრინავებმა სხვადასხვა ადგილას ყუმბარები ჩამოყარეს. გარდა ამისა 2 ჩვენმა დირიჟაბლმა ბრიელ-დენის რკინის გზის სადგურს ყუმბარები დაუშინა

**პარიზი.** 9 მაისი საღამოს ოფიციალი ცნობა. არგონებში ნანტილუასთან და შეპპის ტყესთან მტრის სანგრებს დაუშინეთ, მაასის მარცხენა ნაპირზე „207" სიმაღლის სამხრეთით წავიწიეთ. მორტჰომის დასავლეთ მიდამოებში რამდენიმე ადგილას თხრილები დავიბრუნეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ქვეითმა ჯარმა იერიში მიიტანა დუომონის ახლოს 2 ვერსის მანძილზე. ამ ხაზით ჩვენმა ჯარმა მტერს თხრილები წაართვა და—შეიპყრა დუომონის სიმაგრეში, რომლის ჩრდილო ნაწილი ისევ მოპირდაპირის ხელშია. მაასის სიმაღლეებზე ბუშოს ტყესთან 300 ადლის მანძილზე თხრილები დავიბრუნეთ. აქ ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

მფრინავთა მოქმედება: დილით ჩვენი მფრინავი დაედევნა გერმანელების მფრინავს, რომელიც მონაწილეობას იღებდა დიუნკერკის ბრძოლაში. ვეხელესთან, კასსელის ჩრდილოეთით მას დაეწია და ჩამოაგდო. ელზასში, ბრძოლის შემდეგ, ორი მფრინავი ჩამოვაგდეთ ერთი სენტჰემთან დაეცა, ხოლო მეორე ტანის ჩრდილოეთით ბონის მიდამოებში ჩამოეშვა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

იაკობშტადტის ფრონტზე გერმანელები ცდილობენ ბრძოლის ხაზი ავგუსტინგოფის მიმართულებით ფრიდრიხშტადტამდის გააფართოვონ. ამიტომ მათთვის საჭირო შეიქნა სოფ. ეპუნკის დაპყრობა, სადაც უსასტიკესი საარტილერიო ბრძოლა გაჩაღეს და ხსენებული სოფელი მიწასთან გაასწორეს. ამ რაიონიდან გენ. კუროპატკინის ჯარმა ცოტათი უკან დაიხია.

——

რიგის ფრონტზე გერმანელები კვლავ უკიდურესი სიმძაფრით აწარმოებენ ბრძოლა და აუარებელ ყუმბარებს ხარჯავენ.

——

კურლიანდიაში შინაურ საქონლებსა და ყოველგვარ სურსათ-სანოვაგეზე გერმანელებს რეკვიზიცია მოუხდენიათ.

——

დვინის ფრონტზე გერმანელები უმთავრეს ყურადღებას კვლავ ილუქსტის რაიონს აქცევენ. ხშირხშირი შეტაკებები მხოლოდ ამ ხაზზე ხდება.

——

ჩერნოვიცაში ჰუნგრელსა და ავსტრიელ ჯარის კაცებს უთანხმოება მოსვლიათ.

——

ირლანდიის მართვა-გამგეობის საქმეში ახლო მონაწილეობას მიიღებს ასკვიტი.

——

ბულგარეთის მეფე ფერდინანდი მონასტირში იყო და იქიდან პრეპელს გაემგზავრა. ფერდინანდს ბრძოლის პირი დაუთვალიერებია.

——

გერმანიაში, სურსათის კრიზისის გამო განზრახვა აქვთ დაარსონ განსაკუთრებული პასუხის მგებელი სასურსათო სამინისტრო.

——

პარიზში სენატორ პიშონის მეთაურობით არსდება განსაკუთრებული ორგანო რომელიც მიზნად ისახავს პროვინციის მცხოვრებთ მისცეს სხვადასხვა საჭირო განმარტება თანამედროვე ომის შესახებ.

——

14 იანვრიდან 21 აპრილამდე ბრიტანიის ნაპირებზე 478 საჰაერო ბრძოლა მომხდარა.

——

ინგლისის პრემიერ მინისტრი ირლანდიის საქმეთა ცნობილი გმირი ასკვიტი ირლანდიას გაემგზავრა.

——

სასურსათო საქმის მოსაგვარებლად ვენაში შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა მოლაპარაკება იქონიოს ჰუნგრეთთან რომ მონარქიის ორივე ნაწილმა ერთი სპეციალი სასურსათო კომიტეტი აირჩიოს რომელიც იზრუნებს, როგორც სხვა ქვეყნებიდან სურსათ სანოვაგის მოსაზიდავათ ისე მის განაწილებასა და ნიხრის შემუშავებაზე.

——

დანიის მეფე, რომელიც ამას წინად მძიმე ავადმყოფი იყო, ახლა უკვე—კარგად გამხდარა.

——

ალანდიის კუნძულებს დანიის გაზეთებმაც უძღვნეს რამდენიმე წერილი წერილების ტონი ნეიტრალია.

——

მეორეთ დადებულ ხელშეკრულობის ძალით, რუმინიიდან გერმანია ყოველდღე 500 ვაგონამდე ხორბალს ეზიდება. ამდენივე გააქვთ ავსტრიაშიც.

——

იმპერატორ ვილჰელმის ძმა პრინცი ჰენრიხი ბალტიის ფრონტზე ყოფილა.

——

ჯევად ფაშა ოსმალეთის სამხედრო შტაბმა 7 ათასი შერეული ჯარის კაცით ანატოლიას გამოისტუმრა.

——

კავკასიის ასპარეზისაკენ სალაშქროთ კვლავ მზადებაა. მოსულის მიმართულებით გერმანელი ოფიცრები მოქმედებენ.

——

რუმინიიდან იუწყებიან: ბულგარლები ამ მოკლე ხანში სალონიკზე გადამწყვეტ იერიშებს დაიწყებენო.

——

ბალკანეთზე დოირან-მაიდოგის მიმართულებით კვლავ მძაფრი შეტაკებაა.

——

ამ ზაფხულში გერმანელების შემოტევას მოელიან ადესის მხრით. ამით გერმანელებს ჰსურთ ბესარაბიის დაკავება და რუმინიის მომხრობას.

——

ავსტრიელებს იტალიის ფრონტზე 43 დივიზია ყოლიათ. შეტევას კვლავ განაგრძობენ.

——

დვინის ხაზზე გერმანელებს 12 წყება ხლართები გაუმართავთ.

——

ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ჰერცჰერცოგი ევგენი იტალიის ასპარეზზე გაემგზავრა ჯარების სახელმძღვანელოდ.

——

ბულგარეთ-ოსმალეთში გერმანიიდან და ავსტრიიდან ყოველდღე მიაქვთ სხვადასხვა სამხედრო მასალა.

——

სალონიკთან შეთანხმების სახელმწიფოთა ჰაეროპლანები გამოჩენილა.

——

პეტროგრადში ცნობა მოსულა, რომ ქალაქ ბერნში გაუმართავსთ საზავო მოლაპარაკება, რომლის პირობებიც გერმანიის მხრივ ასეთი ყოფილა: უნდა აღდგენილ იქნას სერბია ბელგია და მთაშავეთი. გერმანიას უნდა დარჩეს პოლონეთი, მასვე უნდა დაუბრუნდეს წართმეული ახალშენები. ოსმალეთი ვერც ვერაფერს მიიღებს და არც არაფერს დაჰკარგავს. ასეთ საზავო პირობას შეთანხმების სახელმწიფონი გერმანელების ოცნებას უწოდებენ.

——

ბულგარეთის გზით ავსტრიიდან და გერმანიიდან ოსმალეთში მუდამ დღე აუარებელი იარაღები მიდის.

### კადეტების „რეჩი" და „პეტროგრადის ვედ."

პეტროგრადელ კადეტთა ორგანოს „რეჩი"ს ცრემლთა ფრქვევას, —რომ კავკასიის ერობის თათბირზე რუსებმა, ქართველებმა და მაჰმადიანებმა მეტად დასჩაგრეს და ფეხქვეშ გასთელეს „დემოკრატიის მედგარი დამცველი სომხის პლუტოკრატებისა და შოვინისტს ვაჭრები" პატივსაცემი ინტერესებიო, გამოეხმაურა „პეტერ. ვედომოსტი" და შენიშნავს, რომ ასეთი რეაქციონური გამოსვლა დემოკრატულ „რეჩი"სა ჩვენ ძალიან გვაკვირვებსო. გაზეთ „რეჩი"ს ცრემლების ფრქვევა არა თუ რომელიმე სამართლიანობის პრინციპის დაცვაა, არამედ იგი ერთგვარი ტენდენციური ცალმხრივობაა, რომელიც მხოლოდ სომხის პლუტოკრატიასა და მდიდარ ვაჭრებს მფარველობსო და სხვა.

ამ სამართლიან შენიშვნას ჩვენის მხრივ დაუმატებდით: დაე, ახლა მაინც თვალები გაახილოს კადეტების ორგანომ და ნუ აყოლია იგი ვიღაცების ინსინუაციებს, რომელიც მთელ ერებს სახელს უტეხავს და შეურაცხყოფას აყენებს.

# ომის დღიური.

**კავკასიის ასპარეზზე** ტრაპიზონისა და მოსულის მიმართულებები ბრძოლის ცეცხლშია გახვეული. დიარბექირის მიმართულებით ოსმალები საიერიშოთ ემზადებიან. ოსმალეთის შტაბი უარყოფს ხმას რუსის ჯარის მესოპოტამიაში შეჭრის და რევანდუზას დაკავების შესახებ, რომელიც, ოსმალეთის შტაბის სიტყვით, ქურთისტანში მდებარეობს და არა მესოპოტამიაში

**ვერდენთან** ფრანგები მაასის მარცხენა ნაპირზე იერიშზე გადავიდენ. არგონებში გაცხოველებული ბრძოლაა.

**იტალიის ასპარეზზე** ავსტრიელები დილაჟის ველით შეტევას განაგრძობენ იტალიელებს რამდენიმე პოზიცია უკვე წაართვეს.

**ბალკანეთზე** სალონიკთან და დოირანთან ძლიერი შეტევები დაიწყო.

**ინგლისის ასპარეზზე** სანაღმო ბრძოლაა.

**რუსეთის ფრონტზე** გერმანელებმა მზვერავი რაზმები გააძლიერეს და დრო-გამოშვებით ზოგიერთ ადგილში უტევენ რუსებს უმთავრესი ბრძოლის ყურადღება გერმანელებისა კვლავ რიგა-დვინსკისკენ არის მოქცეული.

## ლადო დარჩიაშვილი.

(მოგონება)

ალარ ვიცი, ღმერთმანი, საიდან დავიწყო ეს ჩემი მწარე მოგონება..

მუდამ ცრემლი და ვაება, მუდამ წუწუნი და მოთქმა—ეს ხომ სილაჩრის ელფერსა გვდებს ქართველებს და მტრის დასაცინადა გვხდის!

მაშ, რაღა ვსთქვათ, საიდგანღა მოვუაროთ ამდენს უბედურებას, ამდენს ვერაგობასა ბედისასა?

იმ დროს, როცა ჩვენ აქ თავს დავსტიროდით უდროოდ გაცივებულ ცხედარს ხალხოსნურ მგოსნის ევდოშვილისას, იქ—შორეულ გერმანიაში, ლაიპციგის მახლობლად, სულს ებრძოდა თურმე მეორე თვალსაჩინო ქართველი ლადო დარჩიაშვილი!...

იცით ვინ იყო ლადო დარჩიაშვილი?

1905—8 წლებში გამოსული ახალთაობა ნაკლებად იცნობს მას ლადო ამ ბოლო დროს ჩამოშორებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას და თავისთვის უჩინარად მოღვაწეობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ჯერ გერმანულისა და მერე ქართული ენის მასწავლებლის ასპარეზზე

რა იყო მიზეზი მისი მწერლობიდან ჩამოშორებისა, ჩემთვის გაუგებარია. გადაჭრით არა მითხრა-რა თვითონაც, როცა, შარშანწინ—ხელმეორედ გერმანიაში წასვლამდე—ვუსაყვედურე ასეთი დუმილი მისი, იმ დროს, როცა მისი მკვირცხლი კალამი ასე სასარგებლო იქნებოდა ყველა ჩვენში არსებულ ჯგუფებისათვის... მთელის საქართველოსათვის!...

— ცოტა კიდევ მომითმინეთ .. აი, ვიშოვი იმდენ ფულს, რომ შეუწყვეტლივ გამოვცე ჩემი საკუთარი გაზეთი და მაშინ დაგანახვებთ... მაშინ გაიგებთ რადაც ვსდუმდიო...

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა 1914 წლის გაზაფხულზე ლადო გერმანიაში წავიდა ცოდნა—დაკვირვების შესავსებათ. ამავე წლის 19 ივლისს ხომ გამოცხადდა მსოფლიო ომი და ლადოც, ჩვენდა საუბედუროდ, იქ მოემწყვდა.

ჯერ კიდევ ამ ერთი კვირის წინად ლადოს საერთო ნაცნობები ვოცნებობდით იმ დროზე, როცა იგი გერმანიიდან დაბრუნდებოდა და აღიმაღლებდა თვის ძლიერსა და მქუხარე ხმას, მაგრამ, ვაი, რომ ჩვენი ოცნება თურმე ანარეკლი ყოფილა მისი სულთმაბრძაობისა.

სწორედ ამ ერთი კვირის წინად გარდაცვლილა იგი უცხოეთში, უცხოთა შორის, მოუვლელი, უპატრონო, უთანამგრძნობლო!...

ლადო, ლადო! რად, რად გაგწირა ბედმა ასე უწყალოდ! რად, რად დაგვსაჯა განგებამ ასე უსამართლოდ, ასე უდიერად!...

* * *

ლადო დარჩიაშვილის საიმედობა, მისი რჩეულობა და ზეგარდმომადლით ცხებულება ჯერ ისევ თბილისის სემინარიაში გამოჩნდა.

მშვიდი, წყნარი, დაკვირვებული, ამხანაგების მოყვარული, სანდომიანი თვალტანადობისა და მჭევრმეტყველი, ისე ერჩევოდა თავის ამხანაგებში, როგორც ერჩევა ხოლმე ფარშავანგი ყვავებში.

ყოველივე სიკეთით დაჯილდოვებული იყო! ვით სანთელი—ფარვანებს, ყველას თავისკენ გვიზიდავდა, ყველას გვინდოდა მასთან ახლო ყოფნა, მისი ტკბილი საუბრისა და ამხანაგური დარიგების მოსმენა და... ლადოც არ გვერიდებოდა!...

მან აღრე შეადგინა წრე თვითგანვითარების მოსურნე მოწაფეთა და დღე და ღამეს ასწორებდა სწავლა—მეცადინეობაში.

ის დრო და წესი სემინარიის ცხოვრებისა შავბნელი და მეტისმეტი უკეთური იყო: ყოველივე ნათელი იდევნებოდა, ყოველივე სისაძაგლე და გაუტანლობა ჯილდოვდებოდა!

სემინარიის მთავრობა გვზრდიდა მონებად... უენო და უსიტყვო მონებად!

მაგრამ ლადოს წრე (სხვა წრეებთან ერთად) სამარეს უმზადებდა სემინარიის ბერ მონაზონთა პოლიტიკას და ერთი ორად უფრო გვაძულებდა ძალ მომრეობას, თვალთმაქცობას; ერთი ორად უფრო გვაყვარებდა ამხანაგობას, სოლიდარობას, სამშობლოს, ქართულ მწერლობას, ბრძოლას უსამართლობასთან.

დიდის თავგამოდებითა და თავგანწირვით ემზადებოდნენ სემინარიაში არსებული წრეები საპროტესტოდ! უნდოდათ ერთის დაკვრით, ერთის გაბრძოლებით ეცნობებინათ ქართველი საზოგადოებისათვის ყველა ის სიგლახენი, რომელნიც გამეფებული იყო მაშინდელ სემინარიაში და ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა დაეყენებინათ მშობლიურ ნიადაგზე, გამოეყვანათ სიბნელიდან და მოესპოთ ყოველგვარი პოლიტიკანობა შინ, თუ გარედ

ბევრს მუშაობდა ამ მხრივ ლადოს წრეც, მაგრამ თვით ლადოს აღარ დასცალდა საერთო გამოსვლამდე. (ეს საერთო გამოსვლა—აჯანყება სემინარიელებისა მოხდა 1893 წ პირველ დეკემბერს).

1892 წლის გაზაფხულზე, თუ, აღარ მახსოვს, ზამთარში—ლადოს ბინა გასჩხრიკეს ჩვენმა ბერებმა. უპოვეს მრავალი აკრძალული წიგნი და სხვათა შორის აკაკის ცნობილი ლექსი „ხანჯალი“ და ლადო უმოწყალოდ დაითხოვეს სემინარიის მეექვსე, უკანასკნელი კლასიდან.

საუკეთესო და თვალსაჩინო მოწაფის დათხოვნამ მოსწავლენი ძალზე აალელვა და ერთ ხანს მზად ვიყავით იერიშიც მიგვეტანა საპედაგოგიო საბჭოზე, მაგრამ ალბათ ჯერ არ დამდგარიყო ჟამი განკითხვისა!

შემდეგში სემინარიის რექტორი სალამონისა, თუ დილის ლოცვის დროს მალ მალ წაგვიკითხავდა ხოლმე რუსულად გადათარგმნილ ლექსს „ხანჯალს“ და გველურის სისინით უმატებდა:

— თქვე .. საზიზღრებო (противные) აი რა გწადიათ, მაგრამ ვერას გახდებით...

მე ვერ აგიწერთ რა ზიზღი და ბოროტება იხატებოდა ხოლმე იმ დროს ჩვენთაში „ქვეყანაზე ხელაღებულ“ ბერის თვალებში!..

ჩვენი მთავრობის თითოეულ საყვედურზე აკაკის ლექსის გამო, ყოველთვის თვალწინ დაგვიდგებოდა ხოლმე სახე ლადო დარჩიაშვილისა და მისი სიცოცხლით სავსე თვალები თითქოს გვეუბნებოდენ:

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, სიმართლე და პატიოსნება მაინც თავისას გაიტანსო...

და ჩვენც ვებდით ამ სიმართლეს.

და ჩვენც პატიოსანის გზით გვინდოდა თავის დაღწევა გონებრივ-ზნეობრივ ჯოჯოხეთიდან!

აღარ ვიცი, სად წავიდა იგი სემინარიიდან დათხოვნის შემდეგ. ვგონებ, ისევ თბილისში იყო და მეტის თავგამოდებით ემზადებოდა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსასვლელად.

დიდი ხნის უნახაობის შემდეგ მე იგი შემხვდა გურიაში, 1894 წლის მაისში ევნატე ნინოშვილის დასაფლავების დღეს.

აქ მან წარმოსთქვა თავისი პირველი ვრცელი სიტყვა. ამ სიტყვამ დაარწმუნა ყველანი, რომ საქართველოს ეზრდებოდა დიდი კაცი, დიდი მჭერმეტყველი, დიდი მებრძოლი!

ყველას გული სიამოვნებით აუვსო მისმა ამ გამოსვლამ მეც მაშინვე გადავწყვიტე, რომ ლადო იქნებოდა ჩვენი ქორესი, ჩვენი ბებელი! მისი ცოცხალი სიტყვა, მისი მედგარი ხმა, მისი (იმდროისათვის შედარებით) ღრმა ცოდნა, მისი თავგამოდება და ღვთიური ნიჭი—უნაყოფოდ არ ჩაივლიდა და ერთხელ კიდევ დამტკიცდებოდა ქართველი ხალხის, ქართველი ერის გენიალობა.

უნდა მოგახსენოთ, რომ 1890 წლების ახალგაზდობა—რომელთა რიცხვიდანაც დღესაც ბევრი ჯანსაღად იმყოფება და ჩვენში არსებულ მიმართულებებს მეთაურობენ კიდეც, ყველა თითქმის ერთად გამოვიდენ საზოგადო ასპარეზზე, მაგრამ ყველაზე მეტად მე ლადოს იმედი მქონდა და გუშინდლამდე—ვიდრე ლადოს სიკვდილის თავზარდამცემ ამბავს გავიგებდი—ვფიქრობდი და ვნატრობდი:

— როდის, როდის გამოვა კვლავ ლადო დარჩიაშვილი სამწერლო ასპარეზზე, რომ ბოლო მოუღოს იმ გაუგებრობას, იმ ფანატიზმს ეროვნულ საკითხის მიფუჩეჩებაში, რომელმაც ასე გაამწვავა ჩვენში მებრძოლ ჯგუფთა ურთიერთობა—მეთქი!..

მაგრამ, ვაი, რომ ნატვრა ჩემი დაიმსხვრა, ვით იმსხვრევა ხოლმე ხომალდი აბობოქრებულ ზღვაში.

1897 წლიდან, იმ წლიდან, როდესაც მე „ივერიაში“ დავბეჭდე ერთი „მოგონება“ სემნარიის ცხოვრებიდან რომელ მოგონებაშიაც სწორედ ლადო მყავს გამოყვანილი—რამდენიმე წელიწადი სამშობლოს გარედ მომიხდა ცხოვრება და შინაური ამბებისა ნაკლებად ვიცოდი რამ. არ ვიცოდი, სად იყო ლადოც, ხოლო, როცა სამშობლოში დავბრუნდი, გავიგე, რომ ლადო ბრიუსელის უნივერსიტეტში სწავლობდა იურიდიულ საგნებს.

გულმა სიხარულით დამიწყო ცემა. . . იმედი გამიორკეცდა—სჩანდა, რომ ლადო ზედმიწევნით ემზადებოდა სამშობლოისა და მისი მშრომელი ხალხის სასამსახუროდ

1905 წ. ლადო დაბრუნდა საზღვარგარეთიდან მომზადებული, ამხანაგებში სახელოვანი, ყველასგან პატივცემული.

იგი ეკუთვნოდა მესამე დასელებს, მათი მოძღვრების გულწრფელი და შეგნებული მიმდევარი იყო, მხოლოდ ერთის განსხვავებით. მას სწამდა [illegible] საქართველოს [illegible] სცდილობდა იგი საერთაშორისო [illegible] ბასაც...

ჩვენ დღეს [illegible] ხადოთ ეს საკითხი, არ გვინდა ამით შევურაცხვყოთ ჩვენ წმინდა ლოცვა მისი და ვერც დავასაბუთებთ მის რწმენას ისე ზედმიწევნით, როგორც ეს თვით ლადოს ჰქონდა დასაბუთებული ჯერ „ალიონსა“ და მერე „ჩვენ ქვალში“ (საუბედუროდ დასახელებული გაზეთების ნუმრები ვერ ვიშოვნეთ), მაგრამ ის კი აღსანიშნავია, რომ ასეთმა გამოსვლამ ბევრი სიმწარე შეასვა ლადო დარჩიაშვილს და, მე მგონია, ერთით კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ ჯერ-ჯერობით განზეც ჩამოდგა.

— როცა მე ჩემი საკუთარი გაზეთი მექნება, მაშინ ვნახოთ... მაშინ გავიგებთ, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანიო....

აი, მისი გადაჭრილი პასუხი,—როგორც ზევითაც ვსთქვი, იმ საყვედურზე, რომლითაც არა ერთხელ მივმართე მას ქუთაისში ყოფნის დროს გაჩუმებისა და გულზე ხელების დაკრეფისათვის.

ასეთი მისი პასუხი მე არ მაკმაყოფილებდა, მაგრამ იმედი კი მქონდა, რომ დღეს თუ არა ხვალე მაინც კვლავ გამოჩნდებოდა იგი სამწერლო ასპარეზზე და ბოლოც მოეღებოდა ჩვენი დასელების იმ რყევას ეროვნულ საკითხისა და საქართველოს უფლებათა შესახებ, რომელი რყევაც ასე საბედისწერო გამხდარა თვით ხალხისა და მასისათვის.

მაგრამ, ვაი, რომ ლადოს სამუდამოდ დაეკრიბა გულ-ხელი და მგზნებარე გული მისი ველარ აძგერდება ქართველი ერის სიყვარულით..

დაგწყევლოს ღმერთმა ბედო, შავბედო საქმრთველოისავ, ჩვენი ასე დაჩაგვრისათვის!...

[illegible] ია ეკალაძე.

## ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის ღარიბ ბავშთა მზრუნველი საზოგადოების გამგეობა მოუწოდებს საზოგადოების წევრებს დაესწრონ შაბათს, 14 მაისს, დღის 12 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში წევრთა საზოგადო კრებას განსახილველი საგნებია: 1914 და 1915 წ. ხარჯთაღრიცხვა: გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა შეძენილი მამული და მაზე სასკოლო შენობის აგება. რადგანაც ეს კრება მესამეთ ინიშნება, კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

მეფის ნაცვალმა ნება დართო დ. ხონის სახელოსნო სასწავლებლის სამოსწავლო მთავრობას, ამავე სასწავლებლის სასარგებლოთ გამართოს სეირნობა 29 და 30 მაისს.

## ლიტერატურული მეჩხანოგის პირველი მერცხლები.

ეკატერინე შენგელაიასას

ღრმა და წრფელი პატივის ცემით ვუძღვნი ამ წერილს.

(დასასრული იხილე №353).

* * *

„ცისფერ ყანწებში“ „სეზონის ლურსმანი“ გახლავთ „პირველთქმა“ ბ პ. იაშვილისა.

თვით კილო ამ ლიტერატურული მანიფესტისა, წარსულის უარისყოფა და ცეცხლის მოკიდება იმისი, რაც წარსულმა გაადიდა, ცხოვრების მარგალიტების ზღვაში გადასროლა და სხვ—ყველა ეს ფუტურიზმია.

მე აქ არ შევუდგები ფუტურიზმის კრიტიკას. ის, ასე ვსთქვათ, თავისებურ ლიტერატურულ ანარქიზმს წარმოადგენს და, როგორც ყოველ ანარქიზმში, მასშიც ბევრი უაზრობა და გაუგებრობაა მოვიყვან ორიოდე მაგალითს, რათა ნათქვამი ცალმხრივობაში არ ჩამომართვან.

1. ფუტურისტული საუბარი—ლექსი;

— Сорча, кроа, буга на вихроль!
Зю, цю, Э спрум!
— Беля матокiяй...

ან შემდეგი:

„О засмѣйтесь смѣхачи!
О разсмѣйтесь, смѣхачи! და სხ.*)
Дорогая Линочка
Сейчасъ очень ско, сто сверно,
Но на вети меня если

*) იხ. ფუტ. ალმანახი „Студiя“

2. სულით ავათმყოფის წერილი:

Мо воскресенье *)

ამ მაგალითებიდან მკითხველი დაინახავს, რომ ფუტურისტულ ლექსსა და შეშლილის წერილის შორის არსებითი განსხვავება არ არის: ორივე უაზროა. აზრის მხრით უპირატესობა ისევ შეშლილის წერილის მხარეზეა!.

ბ. პ. იაშვილი მზეს „ბინძურს“ ეძახის, ასევე იქცევიან ფუტურისტებიც. მაგ. დავით ბურლიუკი ამბობს: „Небо трупъ! Не больше!
Небо страдный трупъ!..
Звѣзды черви“ და სხვ **)

„შექსპირს უარი!“ გვეუბნება ბ. პ იაშვილი „ძირს ტოლსტოი, დასტოევსკი, პუშკინი!

გვეუბნებიან ფუტურისტები კრუჩენიხი, ხლებნიკოვი და სხვა.

გავყვეთ ქვეით. როდესაც „პირველთქმა“ გვპირდება გაუგებარი და საოცარი სიტყვების შექმნას (მაგ „ბინძური მზე“ და სხვ). სიმღერებში მრავალ ფერების ჩვენებას და სიცოცხლითა და სიმკვირცხლით ამაყ ლექსებს—ეს ასე თუ ისე სიმბოლიზმია.

ხოლო როდესაც პაოლო იაშვილი ქადაგებს: გიყვარდესთ ქალი ვნებიანათ და დაუზოგავათ ამრავლეთ ხალხი, გაუმარჯოს ყოველგვარ ორგიასო და ელენე დარიანი გულწრფელად გვამცნობს: ჩემს მუცელს ვიღაც ვაჟი ემბორებაო—ეს კი ტლანქი უტილიტარიზმი და პორნოგრაფია გახლავთ!

*) იხ. „Здоровье“ Проф. Коссмана и Вейсса ტ. II გვ. 224 წერილი „Болѣзни нэрвной системы“ проф. Фистера.

**) იხ. Д. Бурлюкъ „Дохлая Луна“.

დანარჩენი, რაც კი არის „პირველთქმაში“, უაზრობაა ან სიტყვის უბრალო თამაში და რახ-რუხი! .

მიუხედავათ მისა, მე მსურს შევჩერდე „პირველთქმის“ ზოგიერთ დებულებაზე.

შეუძლებელი არ არის, ამბობთ თქვენ. ვერ დაგეთანხმებით: ბევრია შეუძლებელი, ეს ვინ არ იცის?! მაგ. შეუძლებელია მახინჯი ლიტერატურული ნაწარმოები ესთეტიკის უკანასკნელ სიტყვათ ვინმეს მოაჩვენო. ამაში თქვენც დამეთანხმებით...

ცეცხლი დაღლილობასო, ამბობთ. ესე იგი თქვენ დაღლილობა არ გწამთ—არ გჯერა, რადგან უარესს დაღლილობათ უნდა ჩაითვალოს ის სულიერი მდგომარეობა, როცა ადამიანს ამ უზარ-მაზარ ქვეყანაში ქალის მკერდზე უფრო იდეალური ვერა მოუნახავს რა!..

დავივიწყოთ ავადმყოფი და მახინჯიო,*) გვასწავლით. არ შეგვიძლია, რადგან არის ბევრი ავადმყოფი, რომ კრგათ მყოფს სჯობია! ან რა ვქნათ მაშინ, რომ დღევანდელი მშვენიერი ხვალ ფად გახდეს?! დავივიწყოთ და გადავაგდოთ?! რას ეტყვით, რომ მორჩეს?! გარდა ამისა, ვინ არის ავადმყოფი და ვინ არა—ეს ექიმის საქმეა და არა პოეტის! მეორე მხრით არის ორნაირი მახინჯი: მაინჯი ფიზიკურად და მახინჯი სულით.

ბაირონი კოჭლი იყო, მაშასადამე, თქვენი ესთეტიური თვალსაზრისით ის მახინჯი იყო მაშ, ბაირონი დავივიწყოთ და გადავაგდოთ?!—არ შეგვიძლია, რადგან ბაირონი იყო ის გენიოსი მგოსანი, რომელმაც ასე ღრმად განიცადა და უბადლოდ გადმოგვცა მსოფლიო სევდა და ღელვილ სულის ტანჯვანი *).

მილტონი ბრმა იყო, როცა თავის უკვდავ პოემას თავის ქალიშვილებს უკარნახებდა და რომ ის ხრამში გადაეგდოთ და უარეყოთ, დღეს ჩვენ არ გვექნებოდა ერთი მშვენიერი ხელოვნური ნაწარმოები. ასეთი მაგალითი რამდენია?!

არიან აგრეთვე მეორე ნაირი გამოუსწორებელი სულით მახინჯნი ასეთებს ჩვენ სასტიკ ომს ვუცხადებთ და თუ მათ შორის მოხვდენ ისეთებიც, ვისაც შებრალება არა სწამთ, ჩვენც მათ მიმართ ულმობელი ვიქნებით!..

თქვენ მზეს „ბინძურს“ უწოდებთ ეს უაზრობა არ არის?! აკი თქვენი მასწავლებელი კ. ბალმონტი მღერის: „მისთვის მოველ ამ ქვეყანად, რომ მზე მენახაო! ისმინეთ ipse dixit:

„Я въ этотъ мiръ пришелъ, чтобъ, видеть Солнце.
А если день погасъ, Я буду пѣть
Я буду пѣть о Солнцѣ
Предсмертный часъ“.

ან და მისავე Будемъ, какъ Солнце, оно молодос—въ этомъ завѣтъ красоты“ და სხვ

ორგია და ხალხის დაუზოგავათ მრავლება, ასეთია ბ. პაოლო იაშვილის ერთ ერთი მთავარი დებულება.

ვეკითხები ბ. ავტორს რა არის აქ ესთეტიური? ან რა აქვს ორგიას ჭეშმარიტ ხელოვნებასთან საერთო?!

ეს არც ახალია: როცა კაცობრიობა ველურ, ურდოს წარმოადგენდა, სწორეთ ამ კანონს მისდევდა!

ველურები ახლაც ასე იქცევიან *).

ყოველგვარი ორგია, სქესობრივი ვნების გაღმერთება ახასიათებდა არა რენესანსის, არამედ ველურობისა დეკადანსის ხანას ძველ რომში, ინდოეთში და სხვ, როცა ხალხი ზნეობრივათ დაეცა, ყოველგვარი ორგია ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ხალხი იქამდის მივიდა, რომ ერთი ორგანოს ნახატი გულზე დაჰქონდა და ვინ ჩამოსთვლის კიდევ, რას სჩადიოდა! **)

ვიცი, „პირველთქმის“ ავტორი და მისიანები გვეტყვიან: თქვენ ლაჩრები ხართ. გულში ერთს ფიქრობთ, ენით კი სხვას ლაპარაკობთო. ჩვენ ისა ვსთქვით, რასაც ყველა ფიქრობს და სჩადისო და დაუმატებენ კიდეც: თქვენ პოეზიის, ესთეტიკის რა გესმისთ ვიღაც საჭურისებს, ვექილებს, ექიმებს და სხვა ასეთებსო!..

მოგახსენებთ. ჩვენ ორგია არა გვწამს. ჩვენ გვწამს თავისუფალი სიყვარული, სიყვარული, რომელიც ორივე მხარეს ბედნიერებას ანიჭებს. ჩვენ ვეტრფით ისეთ სიყვარულს, რომელშიც ერთი გრამი სიყალბე და სიცრუე არ ურევია და გვწამს სიყვარული იგი მხოლოდ მანამდის, სანამ ეს პირობა ორივე მხრიდან დაცულია

გვწამს ოჯახი ერთიმეორეს გაგებაზე და ღირსეულ დაფასებაზე დამყარებული.

*) შეადარე კ. ბალმონტის ლექსთან: „Уроды“. სიტყვები „Я горько васъ люблю, о, бѣдные уроды
Слѣпорожденные, хромые, горбуны! და სხვ

*) იხ. Н. Котляревскiй „Мiровая скорбь“ გვ. 172.

*) იხ. С. Алексѣевъ „Женщина всѣхъ племенъ и народовъ გვ. „199—204 და სხვ.

**) იხ. А. Дебэ „Бракъ и безбрачiе“ გვ. 52—58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რ ა დ ი უ მ“ თეატრი

**ანონსი:** 19 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდი საუცხოვო სურათი, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა რომისა, პარიზისა, ლონდონისა, პეტროგრადისა და მოსკოვის საზოგადოებანი. დასურათხატებული კინო დრამა 5 ნაწილად პროლოგით. სურათს დასდგამს ემილიო ჰიონსი, ფირმა ტიბერ ფილმისა ტურინში

# სიკვდილის მეუღლე

უმთავრესს როლში გამოდის ცნობილი მსახიობი ქალი, მთელ დედამიწის ზურგზე სილამაზით განთქმული, „ბრილიანტების მეფეთ“ წოდებული, **ლინა კავალიერი.**

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროში რომსა და პარიზში და სურათის არაჩვეულებრივი სიმშვენიერე მაყურებლებზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ დიდ სურათის დადგმის ნება მქვს კავკასიისა და მის გარეთ მხოლოდ

აქციონ. ამხანაგობა „ფილმას“ ქ. ბაქო.

**ყურადღება!!!** ეს იქნეთი საყურადღებო და ფსიხოლოგიური სურათის, რომ რეჟისორებმა და მსახიობებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს. **ლინა კავალიერი** ეს მეტად მდიდარი ქალია და რომში ბევრ ადგილას აქვს ვილები. მისი სამი მარგალიტის მაფი შეფასებულია ორ მილიონ მანეთად და მეორე გულსაკიდი 250000 მანეთად. მისი მშვენიერი ტანსაცმელები, პაკენა მოდელის ფირმისაა.

ბოლოს გამოვა ლინა კავალიერის აწინდელი მეუღლე ფრანგულ დიდ ოპერის მსახიობი ლუჩიანო მურატორი

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დ დავით ო. ნიჟარაძე გუშინწინ უკვე დაბრუნდა თბილისიდან ქუთაისს და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

✦ 22 მაისიდან დაიწყება ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებები.

✦ მეფის ნაცვალმა ნება დართო გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს თავისი უფლებითა და საპატიო მიზეზით ერთი კვირით გაანთავისუფლონ მათდამი რწმუნებულ დაწესებულებათა მოხელეები.

✦ კვირას 15 მაისს, ქალაქის ბაღში ქარ. შ. წ. კ. გ. საზ. ქუთ. განყ. სასარგებლოთ გაიმართება სახალხო სეირნობა.

✦ ქუთაისში არსდება მისამართების მიმწოდებელი ბიურო.

✦ ბაღის ქუჩაზე, იქ, სადაც 110 სათადარიგო ჯარის კაცთა ყაზარმაა დიდი უსუფთაობაა. საჭიროა ყურადღების მიქცევა.

✦ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობამ აცნობა ქალაქის თვითმართველობას, რომ ბანკი მზათ არის მისცეს ქალაქს სასურსათო ორგანიზაციის მოსაწყობათ სახელმწიფო ხაზინის თავდებობით 200,000 მან.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებები 15 მაისიდან დაიწყება

✦ მსახიობმა დავით ჩარკვიანმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ ნება მიეცეს მას თავის სასარგებლოთ ელექტრო თეატრ „რადიუმში“ გამართოს სეანსები 27 მაისს.

✦ ვაჭრები; დოევი და ავდეევი კავკასიიდან დეპეშით ატყობინებენ გუბერნატორს, რომ მათ დამზადებული აქვთ ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა კოოპერატიული დაწესებულებისა და კერძო პირებისგან შეკვეთილი ასი ვაგონი სიმინდი. ამიტომ საჭიროა პირდაპირი მარშრუტით ორი 40—40 ვაგონიანი მატარებელი. მათ შეუძლიათ ვაგონები დატვირთონ ერთი კვირის განმავლობაში.

### სოფლად.

ს. შარდომეთი (რაჭ. მაზ.) ადგილობრივ სამრევლო სკოლის მასწავლებლის, ეგვრაფი ასათიანისათვის გაუტეხიათ ბინა და წაუღიათ ერთი ბრაუნინგის რევოლვერი, ერთი ოქროს ბეჭედი, ერთი საათი და 4 მან. ფულათ. სულ ზარალი 120 მან. როგორც გამოირკვა, იმ დღეს მასთან სადილათ ყოფილა ივანე ბაქრაძე და როდესაც ასათიანი სასეირნოთ წასულა, მას უხელთებია და გაუტეხია ბინა.

## მეცნიერებიდან.

**(ცოტა რამ თანამედროვე ფიზიკა ქიმიაზე).**

ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში ფიზიკა-ქიმია სრულებით ახალ გზას დაადგა. როგორც ყველას კარგად მოეხსენება ფიზიკის ობიექტად ითვლებოდა საგნის, სხეულის ცვალებადობათა შესწავლა, თუ კი ეს ცვალებადობა დროებითი წარმავალი იყო და საგნის შემადგენლობაზე არ მოქმედებდა.

ქიმია კი პირიქით ისეთ მოვლენებს ეხებოდა, რომლებიც ძირიანათ სცვლიან საგნის ბუნებას და მაშასადამე მის შემადგენელ ელემენტებს. აი ასეთი იყო კლასიკური განმარტება

კატოდური, X ის სხივების და რადიოაქტივობის აღმოჩენამ სრულებით შესცვალა აზრი მატერიის შემადგენლობაზე ელექტრონის აღმოჩენამ ხომ პირდაპირ პერტურბაცია მოახდინა მათემატიკურ მეცნიერებაში. ელექტრონის თეორიის მიხედვით, ატომი, ეს განუყოფელი და გაუნაწილებელი ელემენტი, გარეშე მოვლენათა ზეგავლენით იყოფა, ნაწილდება პატარა მასებად, ათასჯერ ნაკლებად, ვიდრე თვით ატომი აი ამ ნაწილს ატომისას **ელექტრონს** უწოდებენ. მაშასადამე, ამ ახალმა თეორიამ სრულებით გააქარწყლა მეცნიერული დოგმა ატომთა განუყოფლობა—გაუნაწილებლობაზე. დღემდის მეცნიერება ატომს უყურებდა როგორც სრულებით განუყოფელ, უცვლელ რამეს, რომელიც ახასიათებდა ამა თუ იმ მარტივ სხეულს. ასეთ შეხედულებას თითქოს ადასტურებდა პრუსტისა და დალტონის კანონები. ელექტრონის აღმოჩენამ რასაკვირველია დიდი კამათი და წინააღმდეგობა გამოიწვია მეცნიერთა შორის. მართლაც და ძნელი იყო საუკუნეთი დამკვიდრებულ მეცნიერულ თეორიის უარყოფა და ნაცვლად სრულებით ახალის დამკვიდრება. ბოლოს და ბოლოს როდესაც ახალმა დოქტრინამ ფეხი მოიკიდა მეცნიერებაში და თავის მოქალაქობრივი უფლებაც მოიპოვა, მაშინ მეტაფიზიკოსებმა განგაში ასტეხეს—რა დაემართება ეხლა ქიმიას, რომელიც ატომთა თეორიაზეა დაფუძნებულიო. მეორე მხრივ, ატომური ნაწარმოების სწრაფი განვითარება რადიოაქტიურ სხეულებში კოლოსალ სინეტიურ ენერგიას იძლეოდა; მაშასადამე, სისტემა გარეშე მიზეზის გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდა და იმავე დროს მუქთ ენერგიას იძლეოდა. ამ რიგად თითქოს განსაცდელში ვარდებოდა **ენერგიის შენახვის** თეორია.

მაგრამ ეს მეტაფიზიკური მოსაზრება სრულებით უმნიშვნელო გამოდგა მეცნიერებისათვის. ან და რა ღირებულებას წარმოადგენს, მაგალითად, ატომის რეალი არსებობა? მნიშვნელოვანი მხოლოდ ის არის, რომ ქიმიაში ყველაფერი ისე ხდება თითქოს მარტივი სხეულების შემადგენლობა წარმოადგენდეს პატარა მასათა გროვას.

რა უნდა დაეშავებინა ამ მეცნიერების თვის **ელექტრონთა თეორიას.** მით უფრო, რომ მათ, ე. ი., ელექტრონთა მიღება შეიძლება ყოველგვარ სხეულიდან, ამავე დროს მათი თვისება იდენტიურია და სისწრაფესთან ერთად ცვალებადი. ქიმია ხომ მუდამ სასწორს ხმარობს ხოლმე მატერიის შენახვის პრინციპს მიმართავს, რაც იმავე დროს მასის შენახვის პრინციპს ნიშნავს. მაგრამ თუ მასა ცვალებადია, მაშინ ხომ ქიმია ობიექტად არ ჩაირიცხება. მხოლოდ ქიმიას არ აინტერესებს ატომი იყოფა, ნაწილდება თუ არა. შესაძლებელია დღესაც ატომი განუყოფლად იქნას აღიარებული ქიმიაში, მით უფრო, რომ ატომის წონის დაკლება დისოციაციის გამო, შეუმჩნეველია თანამედროვე ქიმიისათვის, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ თანამედროვე ქიმიას არ შეუძლია აღნუსხოს ეს წონის დაკლება.

ახალი აღმოჩენა, ახალი გამოგონება მუდამ ჟამ ცვლის თეორიებს. ყოველ ახალ გამოგონების ახსნას არსებულ თეორიებით სცდილობენ და თუ ამ თეორიებმა ვერ ახსნეს ესა თუ ის აღმოჩენა-გამოგონება, მაშინ საშინელ ბრძოლას უცხადებენ მას. მაგრამ როდესაც მიუხედავათ თეორიის სასტიკ მსჯავრისა, ახალი გამოგონება პრაქტიკაში მაინც ფეხს იკიდებს, მაშინ ხელახლა მუშავდება თეორიები ერთი მეორეზე უძნელესი და რთული. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც მეცნიერებს სასაცილოდ აუგდიათ გამომგონი. მაგალითად დინამო მაშინის გამომგონი გრამი თითქმის გიჟათაც კი იქნა აღიარებული ერთ დროს, მაგრამ მეცნიერება მალე ასწორებს თავის შეცდომას. ჩვენს ეპოქაში ერთგვარი მეცნიერული ევოლიუცია ხდება· რადგანაც ატომის განუყოფლობა თითქმის უარყოფილია. ატომის ნაწილი **ელექტრონად** წოდებული გაიღენთილია **ელექტრობით**—უკეთ რომა ვსთქვათ **ელექტრონი** ატომია **ელექტრობის.** ამ რიგად მატერიული ატომი წარმოადგენს **ელექტრობის** ატომთა გროვას, ე. ი., ელექტრონთა გროვას, დინამური ელექტრობა ნაკადია ელექტრონების. ელექტრონების თეორია მარტივი და ხელსაყრელია ბევრ მოვლენის ასახსნელად მაგრამ არც ეს თეორია ჰფენს ნათელს ყოველგვარ მოვლენას ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ბუნებაში, მოვლენათა ურთიერთობაში, რომელსაც მეცნიერება პასუხს ვერ აძლევს. ელექტრონების თეორიის განმარტებამ თვალსაჩინო ჰყო ის ფაქტი, რომ ელექტრობა, როგორც ენერგია ყოველნაირ მატერიაში იმყოფება. დღემდის უარყოფილი და მივიწყებული თეორია, რომ ელექტრობა მადნარია დღეს ხელახლა პოულობს საფუძველს, მხოლოდ სხვაგვარი განმარტებით და ახსნით.

თანამედროვე ფიზიკა—ქიმია მარტო **ელექტრონის თეორიის** დამკვიდრებით როდი კმაყოფილდება. ამ თეორიას თან მოსდევს ელექტროლიზის მოვლენა, კატოდური სხივები, ჰაერვარის იონიზაცია, რენტგენის, X ის და სხვა სხივები, რადიოაქტივობა, რადიი და სხვა, რომლებზედაც შემდეგში გვექნება საუბარი.

ქ. ალშიბაია.

---

ნამდვილ პოეზიას ჩვენ ვხედავთ არა ორგიაში, არამედ ისეთ ოჯახში, სადაც მის წევრებს შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა როგორც ერთი მეორეს წინაშე, აგრეთვე მთელი კაცობრიობისა და თავის მშობელი ერის წინაშე.

ჩვენ გვწამს ისეთი ოჯახი, სადაც ცოლქმარი დაქორწილების 20 წლისთავზე ისე თივე გულის ტოკვითა და გატაცებით ეპყრობა ერთმანეთს, როგორც დაახლოვების პირველ დღეს!.. შეუძლებელია?! — მაშ, ჭეშმარიტებასთან ჩვენ ახლოს ვყოფილვართ, როცა ასეთ ოჯახს პოეზია ვუწოდეთ!..

ლაჩრობის შესახებ მოვაგონებთ ერთ ფაქტს. თქვენ ყველაფერს ცეცხლს უკიდებთ და ამავე დროს კრიტიკის გეშინიათ. იდეური ლაჩრობა ამაზე მეტი იქნება?! სად არის აქ კულტურა?!

ამის შემდეგ თქვენ კიდევ აქეთ გვისაყვედურებთ; ესთეტიური კულტურა არა გაქვსთო. შეიძლება, მაგრამ ვისთვისაც „ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი“, ის, ცხადია, ესთეტიურ გემოვნებას ჩვენ ვერ დაგვიწუნებს!.

ან და რა პოეზიაა, მაგ., გამთბარი კატა და მისი ლოკვა?! მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „ცისფერ ყანწების“ დებულებებს.

შექსპირს უარი, ამბობთ თქვენ. მაშ, უარი გიოტეს, შილლერს, შოთას, აკაკის, უარი ყველას, ბოდლერსა და ვერლენსაც — არა?! სად არის აქ გარკვეული სახელმძღვანელო საზომი?! ცეცხლი ყველაფერს, რაც წარსულმა გაადიდა, ამბობთ ვერ დაგეთანხმებით. ცეცხლი მხოლოდ იმას, რაც უგნურმა გაადიდა და გონიერმა უარყო ზიზღი იმ წარსულს, რომელიც მხოლოდ ტანჯვას გვაგონებს, მაგრამ საუკუნო დიდება და წრფელი მადლობა იმ წარსულს, რომელმაც შვა დღევანდელი სხივი წყევა და კრულვა იმ მომავალს, რომელიც ცინიკური დაცინვით დაამსხვრევს ჩვენს წმინდა ოცნებებს, რომელიც ულმობელის ხელით ფრთებს შეაკვეცს ხალხის და მის უკეთეს შვილთა იდეალურ მისწრაფებათ. ზიზღი იმ მომავალს, რომელიც შავი წარსულისკენ მიგვაქანებს, მაგრამ აქტიური სალამი იმ მომავალს, რომელიც დღევანდელ სხივს გაასკეცებს და სამართლიანობისა და მშვენიერების შუქს უხვად მოჰფენს მთელს დედა-მიწას!..

გაიგეთ. ჩვენ ახალს არ ვებრძვით. ჩვენი დევიზია: გაუმარჯოს ახალს, რომელიც თავის სისპეტაკით ძველს დაჩრდილავს!..

და თუ თქვენ, მართლა, ნგრევისა და ქარიშხლის მოციქულები ხართ, თუ თქვენ დაამსხვრევთ ყველა იმას, რაც დრომოჭმულია, რამაც დაკარგა არსებობის ყოველივე აზრი და ადამიანს მხოლოდ სულს უხუთავს და მის ესთეტიურ გემოვნებას ახშობს, ახლუნგებს, მაშინ ჩვენც თქვენთან ვიქნებით, მაგრამ, თუ თქვენ ცხოვრების „მარგალიტებს“ დავიწყების ზღვაში გადაისვრით, თუ თქვენ დაანგრევთ ყველა იმას, რითაც ამაყობს ჩვენი ეროვნული კულტურა და სალი მორალი, თუ თქვენ უარყოფთ და შეაფურთხებთ ყველა იმას, რაც ჩვენს წმინდათა წმინდას შეადგენს, მაშინ ჩვენ გეტყვით: ხელოვნება წმინდა ტაძარია, იქ ადგილი აქვსთ მხოლოდ რჩეულთ ხელი შორს!...

დღო შენგელაია.

---

## კერძო სასწავლებლები და სამხედრო ბეგარა.

კერძო გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები სამხედრო ბეგრის მოხდაში გათანასწორებულია ასეთსავე მთავრობის გიმნაზიებთან შემდეგი პირობებით: 1) პირველი ექვსი კლასის კურსი უნდა უდრიდეს მთავრობის გიმნაზიების ან რეალურ სასწავლებლის ექვსი კალასის კურსს, რომლებიც იმყოფება სახალხო განათლების სამინისტრს განკარგულებაში. 2) მასწავლებლებათ უნდა იყოს ისეთი პირები, რომელთაც აქვთ უფლება ასწავლონ მთავრობის სასწავლებლებში. 3) გიმნაზიამ და რეალურმა სასწვლებელმა წინდაწინვე უნდა გაათავებიონ უკანასკნელი ოთხი წლის კურსდასრულებულ მოწაფეებს. 4) გამოცდები თანახმათ სახ. გან. სამ. ქვეშ მყოფ მთავრობის გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლის ოთხისა და ექვსი კლასის კურსისა, უნდა სწავლობდეს სამოსწავლო ოლქის მიერ გამოგზავნილ დეპუტატის თანადასწრებით და ზედამხედველობით, თანახმად ასეთი სასწავლებლებისათვის შემუშავებული დებულებისა. (სამ. ბეგ- დებ. 86 მუხ. 1915 წ.)

შუამდგომლობა სამხ. ბეგრის მოხდის, სასწავლებლის კურსის დასრულებამდი გადადების შესახებ, უნდა აღძრულ იქნას სამაზრო სამხედრო ბეგრის სამართველოს წინაშე, რომელიც ამ შუამდგომლობას სწყვეტს.

ზემოთ მოყვანილი დებულებები კერძო გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების უფლებათა და მოწაფეთათვის სამხედრო ბეგრის გადადების შესახებ დამტკიცებულია შინაგან საქმეთა სამ. 18 დეკ. 1915 წ. № 138 ცირკულიალით ის სასწავლებლები კი (მაღალი, საშუალო და დაბალი) რომელთა მოწაფეთათვისაც კანონით არ არის დამტკიცებული სამხედრო ბეგრის გადადება და რომელნიც ვერ აკმაყოფილებენ ზემო მოყვნილ მოთხოვნილებას სამხედრო ბეგრის მოსახდელათ, ვერ იქნებიან გათანასწორებულნი მთავრობის სასწავლებლებთან და ამიტომ, შუამდგომლობა მათთვის სამხედრო ბეგრის მოხდის გადადებისა, უნდა აღძრულ იქნას ასეთი სასწავლბლიბს გამგეთაგან, გარეშე სამაზრო სამხედრო სამართველოისა, თავიანთ სამოსწავლო მთავრობის წინაშე, რომელთა შუამდგომლობასაც სამხედრო სამართველოსთან შეთანხმებით სწყვეტს მინისტრი ანუ მთავარი მართველი ვის გამგებლობის ქვეშაც იმყოფება ესა თუ ის სასწავლებელი (სამ ბეგ. მოხ. 81 მუხ. გამოცემული 1915 წ.) წესი ასეთი შუამდგომლობის აღძვრისა და გადაწყვეტისა დამტკიცებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 აპრილს 1916 წ. № 35 ცირკულიარით აღნიშნული დებულებათა თანახმათ სასწავლებელთა ორივე კატეგორიის მიერ აღძრული შუამდგომლობა სამხედრო ბეგრის მოხდის გადადების შესახებ, სამაზრო სამართველოს მიერ გადაწყვეტილია: პირველთათვის (რომელიც ეკუთვნის ქუთ. გიმნაზია) დადებით, ხოლო მეორეთათვის უარყოფითად.

პ. ანთელავა.

## ერობა ჩვენში.

**5 მ ა ი ს ი.**

IV სექცია თავმჯდომარეობს ალი მარდან ბეგი თოპჩიბაშევი. სექცია განაგრძობს თათბირს შესახებ ქ. თბილისის გამოყოფას სამაზრო ერობიდან ცალკე ერთეულად.

ვ. ა. დემიდოვი—ეკამათება თბილისის გამოყოფის მომხრეებს და ამტკიცებს, რომ ამას მეტად ცუდი შედეგები მოყვება მთელი კუთხისათვის. ორატორი ამტკიცებს, რომ ქალაქის მოღვაწეებს გამოყოფის სურვილი დაებადათ, რომ ამით საერობო გადასახადიდან თავი გაინთავისუფლონ.

ა ს. ასათიანი—არკვევს გამოყოფის მომხრეების საბუთებს. ა. ი. ხატისოვის გაფრთხილება, რომელსაც მან იურიდიული მოსაზრება უწოდა, რომ ეხლავე თუ არ შეიტანეთ პროექტში დადგენილება თბილისის გამოყოფის შესახებ, ნუ გგონიათ შემდეგ ეს ადვილად მოხერხდეს, ვინაიდან რუსეთის 50 ქალაქი ნახევარი საუკუნეა თხოულობს და ჯერ კიდევ არ გამოეყვენ ერობიდანაო, სწორედ გაფრთხილებად უნდა მივიღოთ. სასურველიც რომ იყოს თბილისის გამოყოფა, ჩვენ ისეთი დადგენილების გამოტანით, რომელსაც როგორც სჩანს არ თანაუგრძნობს არც მთავრობა და არც კანონმდებლობა, ერობის შემოღებას დიდის ხნით გადავდებთ. ასეთივეა ა, ი. ხატისოვის ისტორიკო პოლიტიკური ხასიათის მოსაზრება, მეცნიერებს იმოწმებს და გვისურათებს საშინელს ზრდას ქალაქთა მცხოვრებლებისას ევროპაში და თვით რუსეთში. მე ამას დავსძენ მხოლოდ, რომ ჩვენი თბილისი ამ შემთხვევაში რუსეთის და თვით ევროპის ქალაქებს არ დაუვარდება. რაღაც მეოთხედი საუკ. განმავლობაში თბილისის მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა ხუთჯერ, ამას თუ დავუმატებთ ცნობილ ეკონომისტებს კარლოს ბიუხერის მოსაზრებებს და სხ. ქალაქების და მის გარშემო მდებარე რაიონების შორის დამოკიდებულების შესახებ, დავინახავთ, რომ ქალაქის გამოყოფა ამ რაიონიდან შესაძლოა, მხოლოდ ქაღალდზე დახატულ გეგმაზედ და არა სინამდვილეში, „წარიშალა საზღვრები ქალაქისა და მის გარშემო მიდამოებს შორის, ამბობს ეს ეკონომისტი და ეს ა. ი. ხატისოვის ისტორიული საბუთიც გვიკარნახებს არა ქალაქების გამოყოფას ერთს ეკონომიურ ერთეულიდან არამედ სრულიად ამის წინააღმდეგს. სულ სხვა ღირსების არის ბ. ხატისოვის მესამე—ფინანსიური მოსაზრება. ქალაქები ერობას დიდს თანხას აძლევენ და სამაგიეროდ ძლიერ ცოტას ღებულობენო ერობის უმთავრესი ხარჯებს შეადგენს გზების გაყვანა, სახალხო სწავლა განათლება, თუ მედიცინა და სანიტარია. თითქმის ყველა მაზრაში გაყვანილი გზები ქალაქისაკენ მიეშურება სწავლა განათლებით აღჭურვილნიც ქალაქისაკენ მიისწრაფვიან და მას ემსახურებიან და ჯანმრთელობის დაცვა მაზრაში ხომ ქალქს იფარავს—ათასგვარ სენისაგან. ვინ გამოიანგარიშებს ყოველ ამ სარგებლობაში, რა წილი უდევს ქალაქს და რა სოფელს. აი სწორედ ამით სარგებლობს ბ. ხატისოვი რასაც ქალაქის მცხოვრებნი ერობის გადასახადს აძლევენ, ეს ციფრებში არის გამოხატული და წიგნებშიდ აღბეჭდილი. და რა სარგებლობას მოუტანს ქალაქს კარგი გზები და გონიერი მცხოვრებნი ამას ვინ გამოიანგარიშებს. ამით აიხსნება, რომ ისე დაჟინებით იძახიან—ქალაქი ამდენს იხდის, სოფელი კი ნაკლებს და ამიტომ არ გვინდა მასთან საერთო ოჯახური საქმე ვაწარმოვოთო.

ყოველივე ეს იქნება სამართლიანიც იქნებოდა, რომ ეს საკითხი საერობო, მაშასადამე სახელმწიფოებრივი საკითხი კი არ იყოს, არამედ კერძო, ვაჭრული. თუ თქვენ გადაიხდით 5 არშინ მაუდს ფასს, უთუოდ ხუთი არშინი უნდა გაგიხვიონ და არა ნაკლები. მაგრამ შეუძლიან მოითხოვონ ვსთქვათ ნობელმა ან მანთაშევმა—მე სახელმწიფოს იმდენ გადასახადს ვაძლევ რამდენსაც მოსკოვის რაიონის ყველა მუშები და ამიტომ ნება უნდა მომცეს, როგორც მათ, მე, ერთმა კაცმა საკუთარი დეპუტატი გავგზავნო სახელმწიფო სათათბიროში. ასეთს მოთხოვნილებას ისეთივე საბუთები ექნება, როგორც ბ. ხატისოვის მოსაზრებების საერობო

თვითმართველობა სახელმწიფოებრივი სხეულის ნაწილი და სახელმწიფო კი აქციონერული საზოგადოება არ არის, რომ მან უფლებ-მოვალეობანი გაანაწილოს დახარჯული ფულის მიხედვით სახელმწიფო. სახელმწიფოს ფართე ფარგლებში და ერობაც ვიწრო საზღვრებში გადასახადს ჰკრეფენ და რასაკვირველია მცხოვრებთა შეძლების მიხედვით (დაახლოვებით) და საზოგადოებას ემსახურებიან არა იმის მიხედვით, ვინ რამდენი გადიხადა, არამედ საჭიროების გვარად. ამიტომ არის მიუღებელი ბ ხატისოვის „ანგარიში"—ქალაქი ამდენს იძლევა და ამდენიმე უნდა დაუბრუნოთო.

რომ ქალაქების სურვილი გამოყოფისა ამ „ანგარიშებზედ" აღმოცენდა, ამაზედ ცნობილი ბ. ვესელოვსკის დავიმოწმებ. რუსეთში ერობა შემოიღეს, სოფლებში მუშაობა გაჩაღდა, გაყავდათ გზები, აშენებდენ სკოლებს და სხ. და წარმოიდგინეთ, პირველ 25 წლის განმავლობაში ქალაქები ამ ხარჯებში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდენ, ისეთი მდიდარი ქალაქიც კი როგორიცაა მოსკოვი საერობო გადასახადს არ იხდიდა და რასაკვირველია ერობიდან გამოყოფას იმ დროს აბა, რომელი ქალაქი მოინდომებდა. 1890 წლებიდან საერობო გადასახადი ქალაქებსაც დაადვეს და აი აქედან იბადება მათში სურვილი გამოყოფისა ქალაქების სურვილი ბ. ვესელოვსკის სიტყვით სწორედ მხოლოდ „კომერციულ ანგარიშზედ" არის დამყარებული. მაგრამ მივიღოთ ეს „ანგარიში" სახელმწიფოებრივ განწყობილებაშიაც, ვინაიდან ეს ბ. ხატისოვს მეტად „სამართლიანად" მიაჩნია სამაზრო ერობიდან მისი აზრით უნდა შეეძლოს გამოსვლა ქალაქებს არა ნაკლებ 25 ათასი მცხოვრებით. მაგრამ თუ ქალაქი 23 ათასი მცხოვრებით მდიდარია და საერობო გადასახადს ორჯერ მეტს იხდის ვინემ 25 ათასიანი და სარგებლობა კიდევ ნაკლები აქვს? თუ კურორტებს, რომელთაც გარეშე მაზრებთან უფრო ნაკლები დამოკიდებულება აქვთ, ვინემ ჩვეულებრივ ქალაქებს, უნდათ გამოყოფა? რათ იქნება უსამართლო მათი მოთხოვნილება! და თუ არა ქალაქებმა, არამედ მდიდარ სოფლებმაც მოინდომეს ერობიდან გამოყოფა, რათ უნდა ჩაითვალოს მათი სურვილი უკანონოთ, თუ ყოველივე დამოკიდებულია იმაზედ თუ რას იხდის ის და რა ღებულობს. ან იქნება ეს ციფრი 25 ათასი ჰბადებს სამართლიანობას. მეორეს მხრით ბ. ხატისოვმა გვამცნო, რომ რუსეთში არა მდიდარი ქალაქებიც მოიპოვება ზოგიერთი მათგანი ერობას ძლიერ ცოტას აძლევს გადასახადს და მათ მდიდარი მაზრა ინახავსო, შეუძლიან მათ გამოყოფა თუ არა? რასაკვირველია, მათი ქალაქის თავები ბ. ხატისოვივით არ დაიწყებენ გამოყოფის საჭიროების მტკიცებას. ისინი არ ისურვებენ, მაგრამ მაზრას ექნება თუ არა უფლება, რომ ეს ღარიბი ქალაქები გარიყონ. ნუ თუ მარტო მდიდარ ქალაქებს უნდა ჰქონდეს ღარიბი სოფლის მოშორების „სამართლიანი" უფლება და მაზრას კი არა?

ასეთია „სამართლიანი" მოთხოვნილება ა. ხატისოვის შესახებ თბილისის გამოყოფისა. თბილისი გულია მთელი კუთხის ისტორიულად, ეკონომიურად პოლიტიკურად, კულტურულად და მთელ მხარესთან მტკიცე კავშირით გადაბმული და გადაჯაჭული. ქალაქი, ქალაქის საზღვარი არის მხოლოდ სიტყვა, მცნება, სინამდვილეში-კი ქალაქი და გარშემორტყმული რაიონი ერთი განუყოფელი სხეულია და ცხოვრობს საერთო ქონებრივი და გონებრივ ინტერესებით. ერობა არას ადგილობრივი თვითმართველობა რომელიც უნდა აშენდეს ამ ერთს განუყოფელ ერთეულზედ და თბილისის ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფის საჭიროებაში ვაჭრული ანგარიშებით ვერ დაგვარწმუნებენ.

## კიდევ ავაზაკობის შესახებ.

მახსოვს, როდესაც მთელს საქართველოში ერთი ყოველდღიური გაზეთი გამოდიოდა და მისი ნუმრის სიდიდე ახლანდელ გაზეთების ნუმრის მეოთხედს არ აღემატებოდა. მას შემდეგ პრესა ძლიერ დაწინაურდა და დღეს ქართულ ენაზე მრავალი ყოველდღიური და დრო გამოშვებითი გამოცემა გვაქვს. ამ გამოცემებში ჩვენი ქვეყნის არც ერთი საჭირ-ბოროტო საკითხი უყურადღებოთ არ რჩება; ყოველნაირ წყლულს შესაფერისი წამალი გამოენახება, მაგრამ ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილი და მისი სულის კვეთების გამომხატველი პრესა ხშირად უკიდურესობას იჩენს.

თუ ის ერთი საკითხის შესახებ თავგამოდებულია, მეორეს, არა ნაკლებად საყურადღებოს, ან სულ გვერდს უვლის, ან დიდ ყურადღებას მაინც არ აქცევს. მე მოგახსენებ ავაზაკების შესახებ ჩვენში. თუ ამ ბოროტებას წინეთ მარტო ჩვენი სამშობლოს განაპირა კუთხეებში ქონდა ადგილი, სამაგიეროთ სხვაგან შეიარაღებული თავდასხმა, ოჯახების აწიოკება, გაძარცვა და კაცის კვლა იშვიათი იყო. ზემო იმერეთში, მაგალითად, პირველი შეიარაღებული თავდასხმა, როგორც მახსოვს, 1889 წ. მოხდა. მთავრობამ ვერ მიიღო შესაფერი ზომები. გათამამებულმა ავაზაკებმა თვისი მოქმედება ბევრგან გაიმეორეს ძარცვა-გლეჯასთან ადამიანის სიკვდილიც ბევრგან მოახდინეს. მთავრობამ თვალი გამოახილა, მაგრამ დახელოვნებულ ავაზაკებთან ბევრი ვერაფერი გააწყო.

1905 წლის მოძრაობამ ავაზაკებს შიშის თავზარი დასცა და მათაც ერთხანათ თავი გაანებეს თავის ხელობას. მოძრაობის შემდეგ კი ამ ბოროტებამ ფრთა გაშალა. მუქარით ფულების წართმევა, ცხადათ თავდასხმა და ოჯახების აწიოკება, ცოცხალი ადამიანების გატაცება და კაცის კვლა ყოველდღიურ მოვლენათ გადაიქცა. ამ ორიოდე წლის წინათ ავაზაკთა ბრბოები ხუსკივაძე-ლაბაძე-ჰაჰიაშვილებისა ულვთოდ აწიოკებდენ მთელ ზემო იმერეთს. მათ ფეხის ხმას ბევრი სხვა ნაძირალებიც აყვენ და იყო ერთი რბევა აწიოკება საწყალი ხალხისა. რამდენი შრომის შვილი გამოასალმეს წუთისოფელს და რამდენს მცხოვრებელზე ხელი აიღებინეს ამ თავზე ხელაღებულებმა.. საქმე იქამდი მივიდა, რომ შეძლებული კაცი ღატაკს შენატროდა. ჩემი ყურით გამიგონია, რომ ღარიბ ღატაკს ცოტათი შეძლებულისათვის ამაყათ უთქვამს: შენ იკითხე, თორემ მე ვინ რას წამართმევს, ჩემთვის მძინავს არხეინათაო.

ამაზე მეტი უბედურება იქნება? განა ამისთანა ქვეყანაში შეიძლება ხალხის ნივთიერათ გაღონიერება და წელში გამართვა? რა გულით უნდა მოკიდოს კაცმა ხელი შრომით ქონების შეძენას, თუ კი მისი წყალობით მას აკლება აწიოკებისა და სიკვდილის აჩრდილი თან აედევნება!? აცოცხლოს ღმერთმა ყოფილი შორაპ. მაზრ უფროსი მანსვეტაშვილი მედგრათ და გონივრულათ შეებრძოლა ავაზაკებს. ერთხანს ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქა.

ამ საქვეყნო უბედურების დროს კი ავაზაკებმა ისევ თავი წამოყვეს და აქამდი წარმოუდგენელი საძაგლობა ჩაიდინეს. „ჩვენი მეგობრის" 17 აპრილის ნუმერში მოთავსებულმა ამბავმა საზანოში ოთხი ქალიშვილის გაუპატიურების მიზნით გატაცების ამბავმა სწორეთ თავზარი უნდა დასცეს ყოველ შეგნებულ ადამიანს. ამაზე შორს ბოროტების წასვლა არ უნდა შეიძლებოდეს. უნებლიეთ ვეკითხები ჩემს თავს: ასეთი ამბები შეიძლება სხვაგანაც მოხდეს, თუ მარტო ჩვენ გვიწყრება ღმერთი? დიდი ხანი არ გასულა საზანოს ტრაღედიის შემდეგ, რომ მეორე გაზეთში, მგონია „სამშობლოში", ამოვიკითხე: ქუთაისის მაზრის ერთ სოფლიდან ავაზაკებმა ჩაის საკრეფათ ტყეში წასული ორი ქალი გაიტაცეს და დღესაც არ დაუბრუნებიათო. ვიტყვი თამამად, ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ასეთ ამბებს ერთობ გულგრილად უყურებენ. მეგობარში, მაგალითად, საზანოს ამბავი დამშვიდებულათ, შენიშვნის მიუცემლათ ახალ ამბებში იყო დაბეჭდილი, თითქოს ეს ასე უნდა მომხდარიყო და ხდებოდეს კიდეც. „სამშობლოში" კი ამას წინათ ვილაცას წერილი იყო ავაზაკობასთან ბრძოლის შესახებ ამავე გაზეთში იყო ვრცელი წერილი, გამოწვეული შანტაჟისტებისაგან ერთი ექიმისადმი მიწერილი მუქარის წერილებით. ეს არ კმარა. არ კმარა ჩვენი ყურადღება მარტო ამ ექიმებისთანა „მოღვაწეებს" მივაპყროთ. მას და მისთანებს თვისი „კეთილ შეძენილი" ქონების წყალობითაც მეტი საშუალება აქვსთ თავის დაცვისა. ამით იმის თქმა კი არ მინდა, ვითომც შეძლებულისა და გავლენიანი კაცების აკლება აწიოკებას გულგრილათ ვუყურებდეთ. მე იმას მოგახსენებთ, რომ ვისაც კი უნდა შეხვდეს, ან მოელოდეს აკლება-აწიოკება, ყველას თანაგრძნობა უნდა გავუწიოთ და ბოროტების მოსპობას შეერთებული ძალ-ღონით ვეცადოთ

აჟარლების შემთხვევითმა და დროებითმა აკლება-აწიოკებამ შესაფერისი თანაგრძნობა გამოიწვია ჩვენში და არც ვაკლებთ მათ ზნეობრივსა და ქონებრივ დახმარებას. განა ეს აკლება-აწიოკება შეედრება ავაზაკთაგან ჩვენი ქვეყნის აკლება-აწიოკებას? ჩემის ფიქრით, სრულებითაც არა. ამ თავზე ხელაღებულთა წყალობით ჩვენი ხალხი ნივთიერადაც იღუპება და სახელიც უტყდება. როგორ გული არ უნდა მოუკვდეს შეგნებულ ქართველს, როცა ასეთ ამბებს კითხულობს გაზეთში: ხერსონის გუბერნიაში 7 ავაზაკს სიკვდილი მიუსაჯეს და მათში 5 ქართველი იყოვო. ეს ამბავი ამ ორიოდე წლის წინათ ერთს რუსულ გაზეთში ამოვიკითხე ნუ მოვნათლავთ ჩვენ სამშობლოს ავაზაკთა ბუნაგის სახელით. ყოველნაირათ ვეცადოთ ამ ბოროტების მოსპობას და დავარწმუნოთ ავაზაკობის მიმდევარი საცოდავი პირები, რომ ისინი ყოველნაირათ წაგებული არიან. მათი მოქმედება ვაჟკაცობად არ ჩაითვლება; მათი სახელი და მოქმედება მუდამ ზიზღით მოსაგონარი იქნება; მათი სიცოცხლე მუდამ ბეწვზე ჰკიდია, რადგან მაგალითი არ ყოფილა ავაზაკობა ვისმეს შერჩენოდეს სად არიან ამ ორიოდე წლის წინათ თავგასული ავაზაკები: ხუსკივაძე, ბუსკივაძე, ლაბაძე, ჰაჰიაშვილი, ლორთქიფანიძე, ხვედელიძე და სხვანი მრავალნი? ზოგი ცივ სამარეში და ზოგიც ცივ ქვეყანაში რათ არ უნდა მოვიდენ გონს? შეიგნონ საცოდავებმა თავიანთი სისაძაგლე და დროზე დაადგენ ადამიანურ გზას.

იმედია, ამ საკითხს ჩვენი ჟურნალ-გაზეთები სერიოზულ ყურადღებას მიაქცევენ და შესაფერ საშუალებას გამონახავენ, თუ როგორ უნდა ებრძოლოს საზოგადოებამ ამ ნაძირალებს.

სიმონ ივანეშვილი

## პროვინციის ცხოვრება

**ს. ტყემლუანა.** (ჩხიროულის საზოგადოება).

დიდი და დაუფასებელი ამაგი მიუძღვის თავის სოფლისა და მთელ საზოგადოების წინაშე ადგილობრივ ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებელს (ამ ჟამათ იგი ათეულეა).

ბ. ერემია ჩიჩინაძეს, მისი მეცადინეობით საფუძველი ჩაეყარა აქ ხალხისთვის სასარგებლო ორ დაწესებულებას: საკრედიტო ამხანაგობას და უფასო წიგნ-სამკითხველოს.

ბ. ერემიამ თავისი გულწრფელობით და თავაზიანობით მოიპოვა ხალხის ნდობა და მიტომ უჭერიდენ მას უველაფერს. ეს იყო უანგარო კაცი, ერთად-ერთი მისი მიზანი იყო ხალხის გამოფხიზლება, გათვითცნობიერება, რისთვისაც დაუღალავად მოქმედებდა, ხალხი უყვარდა მას და ხალხმაც იგი შეიყვარა ბუზივით ესეოდენ მას და ეკითხებოდენ სხვადასხვა საქმეს, რაზედაც დაუზარებლად ყველას პასუხს აძლევდა. მას მხარს უმშვენებდა და ყოველ კეთილ საქმეში ხელს უწყობდა ამავე სასწავლებლის გამგე ბ. ვარლამ უღრელიძე (ისიც ადრევე გაიწვიეს ჯარში).

მათი ერთობა, ერთმანეთის სიყვარული და საარაკო ამხანაგობა, მათი ასეთი შეთანხმებულად მოქმედება და ხალხის თვალში ნდობის მოპოვება თავმდები იყო მისი, რომ საზოგადო საქმე თვალთახან წინ წავიდოდა და მათი მეცადინეობა ნაყოფს მოიტანდა. მაგრამ მსოფლიო ომისგან გამოწვეულ ატეხილმა ქარიშხალმა ესენი ორივე მოსტაცა ამ საზოგადოებას და შორს ბრძოლის ველზე გადასტყორცნა იგინი.

საკრედიტო ამხანაგობის საქმე უამთოდ ჩაიფუშებოდა, რომ არ გამოჩენილიყო აქვე გულშემატკივარი და მეუფათო ადამიანი ბ. სიმონ ჩიჩინაძე. მისი მეცადინობით და შრომით ფულის გასესხება-განაღდების საქმე წესიერად სწარმოებდა და ამნაირად მოიყვანა წრევანდლამდის, რის შემდეგაც საქმის წარმოება უფრო წესიერ კალაპოტში ჩადგა.

საკრედიტო ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება 1914 წლიდან 29 წევრით 25 იანვარს მდგომარე წლისა მოხდა საზოგადო კრება ამხანაგობისა. ამ კრებაზე გამოირკვა, რომ ამხანაგობას წასულ 1915 წელს წმინდა მოგება დარჩენია 318 მ. და 73 კ. აქედან კანონით დაწესებული 40 და 20 პროცენტები გადაიდვა ძირითად და სათადარიგო თანხისათვის. 10 მ. ქუთაისის სკოლის „სინათლის" სასარგებლოდ (კიდევაც გაეგზავნა ფოსტით)., 10 მ. ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ. 60 მ. წარსულ წელში საქმის მწარმოებელთა ჯილდოთ.

1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვა კრებამ დაამტკიცა. ამხანაგობაში ახლა ირიცხება 300 წევრი. თითქმის ყოველ დღე ემატება ამხანაგობაში ჩაწერის მსურველი. ვაჭრებიც შეირხენ, უნდათ ჩაწერა, მაგრამ გამგეობა ვერ ღებულობს წესდების ძალით. ამათ საჩივარი გაგზავნეს, სადაც ჯერ არს, არ ვიცით რა პასუხს მიიღებენ.)

კრედიტი აქვს 7000 მანეთი, რაიც ვერ აკმაყოფილებს ამოდენა წევრთა განონიერ მოთხოვნილებას. აძრულია შუამდგომლობა კრედიტის მომატებაზე. იმედია წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ. ალ ნიჟარაძე მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას და იშუამდგომლებს კრედიტის მომატების დაჩქარებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ წევრები ჯერ ჯერობით სინიდისიერად იქცევიან და თავ-თავის დროზე ისტუმრებენ ვალს.

თუ ასე წავიდა საქმე შემდეგშიაც, მეტი კარგი მომავალი ექნება ამ დაწესებულებას, რომელმაც ბევრი სოფლის მევახშეებისაგან შევიწროებული პირი გამართა წელში და მათი კლანჭებიდან დაიხსნა.

როგორც სხვაგან, აქაც მტრები ჰყავს ამ დაწესებულებას და ჩუმჩუმათ მოქმედებენ, რომ ხალხს გული აუცრუონ მაზე ახლა საპუთიც მიეცათ. შაბიამნის მიუღებლობას ეს ვაჟბატონები აქაურ გამგეობას აბრალებენ. თითქოს სადმე სხვაგან გაეყიდოს ზესტაფონის ამხანაგობიდან დაკვეთილი შაბიამანი ხმას ავრცელებენ, რომ ბ. ი. გუნცაძემ უღალატა ამხანაგობასო, და თეთრონოვს მიუდა ჩვენი ქვეყნისთვის გამოწერილი შაბიამანიო და სხვა ამისთანებს, სად არის სანდო პირებიო? ისევ ვაჭრების ხელში ჩავარდებითო!

საზოგადო დუქნის გახსნა აქაც მოინდომეს (რადგან მოდა ახლა ამისაა) აირჩიეს იანვარში 7 კაცი ამ საქმის მოსაწესრიგებლად მარა ჯერ არავითარი ნაყოფი არ სჩანს მათი მეცადინეობა — მოქმედებისა — მგონი ომის დასრულებასა და სანოვაგის და საქონლის გაიაფებას უცდებიან?!

მღვდ. დ. ლოსაბერიძე

(შემდეგი იქნება)

## შემოწირულობა.

ქუთ. გუბ. სახალხო მასწავლებელთა კავშირის სასარგებლოთ 29 მაისისათვის განზრახულ საღამოსათვის შემოსწირეს ნივთები: ი. ადეიშვილმა, 2 კაშნე ღირებული 3 მ. 20 კ. სოფ. ბინიაურიშვილმა 1 სასტაქნე ღირებული 2 მ. 50 კ. ხ. ფხაკაძემ, 1 მედალიონი ღირებ.— 1 მან. ს. მარ[illegible]შვილმა 2 კოლ. შპილკა—1 მელაშვილმა $9^3/_4$ არშ. ჩითი ღირებ.—4 მ. 60 კ. [illegible] ვაჭრობემა 2 პერანგი—4 მან. [illegible] 1 საქალო ქუდი [illegible] ნოტები—6 მან. ალ. მირიანოვმა საბავშო პასნამ—2 მან. პ. გასპაროვმა 1 საბავშო ქუდი 5 მან. განელიძემ—2 სასმიხე—2 მან. „აბრეშუმი"—სხვადასხვა ნივთ.—1 მ 80 კ. ივ მამაჯანოვმა, 6 სურათის ჩარჩო—3 მან. მაკერზაშვილმა 11 ხელის საბანი საპონი 4 მან.— პ. ჩხეიძემ სხვადასხვა ნივთი ღირებ.— 4 მან. „ელეგანტ"—თუთუნი და პაპიროსი—1 მ. 10 კ. ი. აინბინდერმა—მაროჟი ღირებ. 1 მან. 70 კ. შჩეგლოვისამ 1 სალფეტკი—90 კ. თ. მთავრიშვილმა ნივთები ჯოჯუამ ქუდი—2 მ. 50 კ. ძმ. მირაქოვებმა ნივთები 2 მ 50 კ. ა. ცეცაშვილმა—ნივთები დირ. 4 მ. 20 კ. არონ რიჟინაშვილისაგან—9 მან. გაბრიელ ფიჩხაძისაგან—2 მან. სიმონ ბოგერასაგან—1 მ. 50 კ. გაბრიელ ცეცაშვილისაგან 1 მ. 50 კ. დან. თავდიდიშვილისაგან—1 მ. 30 კ. ია მეკინულოვისაგან—1 მ. 20 კ. იოსებ ხახმიშვილისაგან—80 კ. п. Эфраимъ 90 კ. თ. წიქორიძისაგან—3 მ. 50 კ. ჩხეიძე და მამფორიასაგან—2 მ. 80 კ. Волохъ—2 30 კ. ერ. ასათიანისაგნნ—2 მ. 50 კ. კილასონია და კაპანაძისაგან—5 მ. 88 კ. არონ. ელიგულაშვილისაგან—8 მ. 50 კ. მაღაზია პროგრესი—3 მ. 10 კ. ა. ჩიკვაშვილისაგან 1 მ. 40 კ. ფარნა გაბუნიასაგან—6 მ. ცაბაძისაგან—ჩაის საწური—2 მ. მელიტონ აბდალაძისაგან—22 მან. ბახტაძისაგან—6 მ. 20 კ. სიმ. ფიჩხაძისაგან—1 მ 60 კ.

**ფ უ ლ ა თ.**

უკრაინცევმა—2 მან. ვ. ტყეშელაშვილმა და ს წერეთელმა—1 მან. „სათვიმ" 5 მან. კ გრიქუროვმა 5 მან. კ მელაშვილმა 3 მან. რაფ. და მიშა რიჟინაშვილებმა 3 მან. მარდახ ფიჩხაძისაგან 5 მან. ვლ. რუხაძემ 3 მან. რომანოზ მახარაძემ, 1 მან.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**

**იყიდება**
**ორსართულიანი სახლი**
ქალაქის ცენტრში.
იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში
6—8—143

მმათა ქორქოლაშეების
**ხრესილის აბანოზე**
უკვე გაიხსნა სეზონი. წელს შედარებით წარსულ წლებთან ყველაფერი გაუმჯობესებულია და ფასებიც ზომიერია

**უკაცობა და ნევრასტენია.**

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

**გრანული** ექ. გლეზისა.

**გრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყალო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.